

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ 2025 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 24 ოქტომბრის №2/5/1545 გადაწყვეტილების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №69 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06.02.2015, №010250020.35.123.016279), კერძოდ:

1. დადგენილების მე-2 მუხლი შეიცვალოს შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 2.** დადგინდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესები დანართი №1-ის შესაბამისად. გამომდინარე აქედან, დადგენილების დანართი („ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესები“) ჩამოყალიბდეს №1 დანართად.

(დანართი №1 დადგენილებას თან ერთვის)“

2. დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ მუხლი: **„მუხლი 2¹.** დამტკიცდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცნობი ნიშნის ფორმა დანართი №2 - ისა და ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებისთვის განსაზღვრული საცნობი ნიშნის ფორმა დანართი N3 შესაბამისად.

(დანართი №2 დადგენილებას თან ერთვის)“

3. დადგენილების №1 დანართის („ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესები“) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „დ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით: „დ) საცნობი ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის განკუთვნილი საპარკინგე ადგილები.“

4. დადგენილების №1 დანართს („ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესები“) დაემატოს შემდეგი შინაარსის 21² მუხლი:

„მუხლი 21². შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცნობი ნიშნის გაცემა და საცნობი ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალების პარკირება

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცნობი ნიშნის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ვალდებულია, წერილობითი ფორმით მიმართოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვის“ და მას დაურთოს მისი კუთვნილი პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა, „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №3-ით განსაზღვრული ფორმა №IV-50/4-ის შესაბამისად გაცემული, პირის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის ველში: „ქმედუნარიანობის შეზღუდვის კატეგორია და ხარისხი“ დადგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს გადაადგილების უნარის შეზღუდვის პირველი, მეორე ან მესამე ხარისხი. ამასთან, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისი“ უფლებამოსილია, დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცნობი ნიშნის მისაღებად არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, წერილობითი ფორმით მიმართოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისს“ და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №3-ით განსაზღვრული ფორმა №IV-50/4-ის შესაბამისად გაცემული, პირის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა სააღრიცხვო ბაზაში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ, დაბადების მოწმობის დედანი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი, კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი. ამასთან, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისი“ უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცნობი ნიშნის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, წერილობითი ფორმით მიმართოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისს“ და მას დაურთოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კუთვნილი პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა, „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №3-ით განსაზღვრული ფორმა №IV-50/4-ის შესაბამისად გაცემული, პირის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის ველში: „ქმედუნარიანობის შეზღუდვის კატეგორია და ხარისხი“ დადგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს გადაადგილების უნარის შეზღუდვის პირველი, მეორე ან მესამე ხარისხი და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი. ამასთან, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისი“ უფლებამოსილია, დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცნობი ნიშნის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების შესაკუთრე იურიდიული პირი ვალდებულია, წერილობითი ფორმით მიმართოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისს“ და დაურთოს

სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ქსეროასლი, იურიდიული პირის შესახებ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. ამასთან, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისი“ უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე გაიცემა ერთი საცნობი ნიშანი.

6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე იურიდიულ პირზე გაიცემა იმ რაოდენობის საცნობი ნიშანი, რამდენი ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებაც აქვს საკუთრებაში.

7. საცნობი ნიშანი გაიცემა უსასყიდლოდ, ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, 3 წლის ვადით, მე-2 პუნქტის შესაბამისად – არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სრულწლოვანებამდე (ამასთან, საშვის მოქმედების ვადა ყოველ გაცემაზე არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს), ხოლო მე-4 პუნქტის შესაბამისად – სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე იურიდიული პირის რეგისტრაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაუქმებამდე (ამასთან, საშვის მოქმედების ვადა ყოველ გაცემაზე არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს), ან იმგვარი გარემოების დადგომამდე, რომლის არსებობისას საშვი არ გაიცემოდა.

8. საცნობი ნიშანი განთავსებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების წინა საქარე მინაზე ისე, რომ უფლებამოსილი პირის მიერ შესაძლებელი იყოს მისი ამოკითხვა.

9. საცნობი ნიშანი გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ პირის მიერ ან/და სატრანსპორტო საშუალებისთვის, რომლისთვისაც ის გაიცა.

10. საცნობი ნიშნის მფლობელის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისში“ წერილობითი ფორმით წარდგენილი ახალი საცნობი ნიშნის აღების დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისი“ ჩათვლის საჭიროდ, მფლობელი, არასრულწლოვანი/შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტაცია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისში“ წარადგინოს ხელახლა, რის შემდეგაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის“ მიერ ახალი საცნობი ნიშანი გაიცემა ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ვადით.

11. საცნობი ნიშნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, მფლობელი ვალდებულია, შესაბამისი ინფორმაცია დაუყონებლივ მიაწოდოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისს“.

12. საცნობი ნიშნის დაკარგვისას ან დაზიანებისას, მისი აღდგენის თხოვნით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის“ წერილობით მიმართავს საცნობი ნიშნის კანონიერი მფლობელი და აღდგენისთვის მასვე ეკისრება შპს „პარკინგსერვისი“-ს საბანკო ანგარიშზე 10 (ათი) ლარის ოდენობის თანხის გადახდის ვალდებულება.

13. თუ საცნობი ნიშანი ამ წესის შესაბამისად არ იქნება განთავსებული სატრანსპორტო საშუალებაზე და მოხდება ამ სატრანსპორტო საშუალების პარკირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის განსაზღვრული პარკირების ადგილზე, აღნიშნული შემთხვევა განიხილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სატრანსპორტო საშუალებისთვის განსაზღვრულ პარკირების ადგილზე არაუფლებამოსილი პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების პარკირებად.

14. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის“ თანამშრომელი ვალდებულია, საეჭვო საცნობი ნიშნის დაფიქსირების შემთხვევაში უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდება.

15. საცნობი ნიშნის მოქმედება ვადამდე წყდება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საცნობი ნიშანი მიღებულია არასწორი ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე;

ბ) საცნობი ნიშნის მფლობელმა საცნობი ნიშანი გადასცა სხვას;

გ) სხვა ისეთი გარემოების აღმოჩენის ან გამოვლენისას, რის არსებობის შემთხვევაშიც საცნობი ნიშანი არ გაიცემოდა.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი

დ. შანიძე
დავითი ერემიშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 24 ოქტომბრის N2/5/1545 გადაწყვეტილება

ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანია: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის პარკინგისათვის გათვალისწინებული საცნობარე ნიშნის აღების წესი.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება: პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

დადგენილების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური.

4. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი დავითი ერემეიშვილი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი

დავითი ერემეიშვილი



**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირების ადგილისთვის განსაზღვრული
საცნობი ნიშნის ფორმა**

საცნობი ნიშანი არის ორგვერდიანი მართკუთხედის ფორმის 150X100 მმ. ერთ გვერდზე, მარცხენა ქვედა კუთხეში, დატანილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის აღმნიშვნელი თეთრი ფერის სიმბოლო, მარჯვენა ქვედა კუთხეში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გერბი, მის ქვემოთ ტექსტით „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია“, ზედა მარცხენა მხარეს შემდეგი გრაფები: „მოქმედების ვადა“- მიეთითება საცნობი ნიშნის მოქმედების ბოლო ვადა, „გამცემი ორგანო: შპს „პარკინგსერვისი“ და „სერიული ნომერი“- მიეთითება საცნობი ნიშნის უნიკალური ნომერი. ამავე გვერდის ზემოთ, ცენტრში, დატანილია ტექსტი „აჩვენეთ წინა მხარე“, ხოლო მარჯვენა მხარეს გერბის თავზე დატანილია ტექსტი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პარკირების საცნობი ნიშანი“, გვერდის ქვედა შუა ნაწილში კი დატანილია ბარკოდი. მეორე გვერდზე ზედა ნაწილში დატანილია ტექსტი: „ეს საცნობი ნიშანი მფლობელს აძლევს უფლებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ისარგებლოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის განსაზღვრული პარკირების ადგილით. საცნობი ნიშანი განთავსებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების წინა საქარე მინაზე ისე, რომ უფლებამოსილი პირის მიერ შესაძლებელი იყოს მისი ამოკითხვა“, ამ უკანასკნელი ტექსტის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს დატანილია ტექსტი: „საცნობი ნიშნის არადანიშნულებისამებრ გამოყენება ისჯება კანონით!“, ხოლო ქვედა მარჯვენა მხარეს დატანილია გრაფები: „გვარი“, „სახელი“ და „პირადი ნომერი“, რომლებშიც შეიტანება იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გვარი, სახელი და პირადი ნომერი, რომელზეც გაიცემა საცნობი ნიშანი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი

 დავითი ერემეიშვილი

აჩვენეთ წინა მხარე

მოქმედების ვადა:

გამცემი ორგანო:

სერიული ნომერი:



**შეზღუდული
შესაძლებლობის
ქონე პირის
პარკირების
საცნობი ნიშანი**



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მეჩი

ეს საცნობი ნიშანი მფლობელს აძლევს უფლებას
ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ისარგებლოს
შეზღუდული შესაძლებლობის ქონე პირისთვის განსაზღვრული
პარკირების ადგილით. საცნობი ნიშანი განთავსებული უნდა იყოს
სატრანსპორტო საშუალების წინა საქარე მინაზე ისე,
რომ უფლებამოსილი პირის მიერ შესაძლებელი იყოს
მისი ამოკითხვა.

გვარი:

სახელი:

პირადი ნომერი:

**საცნობი ნიშნის
არადანიშნულებისამებრ
გამოყენება
ისტემა კანონით!**

150X100 მმ

ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებისთვის განსაზღვრული
საცნობი ნიშნის ფორმა

საცნობი ნიშანი არის კვადრატის ფორმის 80X80 მმ (კუთხეებში მომრგვალებული), ლურჯ ფონზე (კიდევბზე თეთრი ზოლით) განთავსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის აღმნიშვნელი თეთრი ფერის სიმბოლოთი, ასევე სატრანსპორტო საშუალების ნომრისა და საცნობი ნიშნის მოქმედების ვადის აღმნიშვნელი რეკვიზიტებით.



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი

დ. შანიძე დავითი ერემეიშვილი